მოგესალმებით ყველას!

1

დღეს მოვისმენთ ჩვენი
მეგობარი ნიკას ისტორიას
მის სოფელში მომხდარი
წყალდიდობის შესახებ.

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

ინფორმაცია: წყალდიდობა შეიძლება განვმარტოთ, როგორც წყლის დონის მომატება გაზაფხულზე თოვლის ინტენსიური დნობისა და სეზონური წვიმების დროს, გამოწვეული წყლის რაოდენობის და/ან ნაკადის ზრდით.

ჩემს სოფელში ყოველწლიურად ხდება წყალდიდობა.

ხანდახან იგი ძალიან დიდია, ხანდახან კი - პატარა. სულ ვფიქრობდი, საიდან მოდიოდა ამდენი წყალი. ერთხელაც ვკითხე ალმზრდელს, რა იწვევდა წყალდიდობას.

და აი, რა ვისწავლე.

2

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

წყალდიდობას იწვევს ძლიერი წვიმები. ამიტომ ხშირად გვესმის ხოლმე, რომ წყალდიდობები ხდება წვიმიანი სეზონის პერიოდში.

ხშირი წვიმები იწვევს მდინარეების ადიდებას, რის შედეგადაც მიმდებარე სოფლები წყლით იფარება.

ასევე, როცა ძლიერი წვიმა მოულოდნელად მოდის, თუ არსებული წყალგამტარი არხები წვიმის წყალს ვერ ატარებენ, ზედმეტი წყალი ფარავს გზებს და შეიძლება ჩვენი საცხოვრებელი ადგილიც დაიტბოროს.

3

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

განმარტება: წყალდიდობას იწვევს მდინარეების ადიდება, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს ძლიერი წვიმა. წყალდიდობა შესაძლოა ასევე მოჰყვეს ჯებირებისა და დრენაჟის ერთდროულად დაზიანებას.

ჩვენ გვაქვს გუბეებსა და თხრილებში ნაგვის ჩაყრის ცუდი ჩვევა, მეთანხმებით?

ძლიერი წვიმის დროს, ნაგავს შეუძლია წყლის სადენი არხების ჩახერგვა.

4

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

განმარტება: წვიმიანი სეზონის დროს, წყალდიდობას ხელს უწყობს სხვადასხვა ადგილას მიმოფანტული ნაგავი, რომელსაც წყალი თხრილებისაკენ მიაქანებს. ეს ნაგავი თავის მხრივ, ხერგავს თხრილებს, რის შედეგადაც მასში წყალი ვეღარ მიედინება და გუბდება. წყლის შეგუბება შეიძლება წყალდიდობის მიზეზი გახდეს. გარდა ამისა, მდინარის პირას დატოვებული ნაგავი შეიძლება დაავადებების წყაროც გახდეს.

მაშასადამე, როგორ უნდა მოიქცეთ წყალდიდობის დროს?

როგორ შეგიძლიათ დაიცვათ თავი და შეინარჩუნოთ თქვენთვის მნიშვნელოვანი ნივთები?

5

მეგობრებო, ერთ-ერთი, რაც შეიძლება გააკეთოთ, არის ის, რომ სახლის ირგვლივ დაალაგოთ ქვიშით სავსე ტომრები ისე, რომ წყალი, რომელიც ქუჩებს ფარავს, სახლში ვერ შემოვიდეს.

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

განმარტება: ქვიშით სავსე ტომრების სახლის ირგვლივ დალაგება დამცავი კედლის, ჯებირის გაკეთების ერთ-ერთი ალტერნატიული საშუალებაა, რომელსაც შეუძლია წყალი შეაკავოს.



თუ წყლის დონე მაღლა იწევს და ქვიშით სავსე ტომრები ვეღარ აკავებენ წყალს, თქვენთვის ძვირფასი ნივთები უფრო მაღალ ადგილას უნდა მოათავსოთ.

მაგალითად, შეგიძლიათ წიგნები და ტანსაცმელი პოლიეთილენის დიდ პარკში ჩააწყოთ და ის კარადის/განჯინის თავზე შემოდოთ.

6

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

განმარტება: თუ წყალდიდობა თქვენთან ხშირია და ორსართულიანი სახლი გაქვთ, პირველ სართულზე არ შეინახოთ ისეთი ნივთები, რომლებიც ადვილად ზიანდება წყლით (მაგ. წიგნები და ხისგან დამზადებული ნივთები).

7

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

თუ წყლის დონე ძალიან სწრაფად მატულობს, სახლში დარჩენა შეიძლება სახიფათო იყოს.

ევაკუაციისთვის უფრო მაღალი წერტილი უნდა მოძებნოთ, მაგალითად, გორაკის წვერი.

ევაკუაციის დროს, დატბორილი ტერიტორიიდან ფეხით არ იაროთ, რადგან დინება შეიძლება ძალიან ძლიერი იყოს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ წყალი მხოლოდ მუხლებამდე გწვდებათ, მაინც შეიძლება წყალმა წაგიღოთ. მოსალოდნელია, რომ კანალიზაციის ორმო შეგხვდეთ და ჩავარდეთ.

წყალდიდობის დროს, წყალი, როგორც წესი, ძალიან დაბინძურებულია და წყლის ქვეშ ორმოს ვერ დაინახავთ. ამიტომ ფრთხილად იყავით!

განმარტება: მოერიდეთ საკანალიზაციო ორმოებს!
ადამიანი შეიძლება ძალიან დაზიანდეს, თუკი ასეთ ორმოში ჩავარდება.

ევაკუაციის ყველაზე კარგი გზაა უსაფრთხო ადგილას მშობლებთან ერთად წასვლა.

ევაკუაციისას, წყლის მასის გასავლელად გამოიყენეთ თოკი, რომ ერთმანეთს არ ჩამოშორდეთ და წყლის დინებამ არ გაგიტაცოთ.

8

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

განმარტება: ევაკუაცია იწყება მაშინ, როდესაც ძალიან დიდი და სწრაფი წყლის ნაკადი მოვარდება ან როდესაც წყალი ერთ დღეზე დიდხანს ჩერდება. თუ წყალი მუხლამდეა, რთული იქნება მასში გადაადგილება. რაც უფრო მაღალია წყლის დონე, მით მეტია შესაძლებლობა დინებამ წაგიღოთ. ასე რომ, ნუ შეეცდებით მუხლს ზემოთ წყალში გავლას.

თუ წყალდიდობის დროს
წყალში გასვლა გიჭირთ,
დაელოდეთ ვინმეს
დახმარებას.

9

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children


0,5 m
1,5 m
2 m

მნიშვნელოვანია კარგად იცოდეთ თქვენს საცხოვრებელ სახლთან ახლოს მდებარე ის ადგილები, სადაც წყალდიდობისას წყლის დონე ყველაზე მაღალია.

წყალი ყოველთვის უფრო მაღალი ადგილიდან დაბალი ადგილისკენ მიემართება, ამის გათვალისწინებით, მგონი, უნდა შეძლოთ ევაკუაციისათვის უსაფრთხო მარშრუტისა და საევაკუაციო ადგილის შერჩევა, მეთანხმებით?

10

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

განმარტება: მნიშვნელოვანია ევაკუაციის გზების განსაზღვრა და გადაწყვეტილების მიღება, თუ რომელი გზა აირჩიოთ იმისთვის, რომ ახალი საფრთხე აირიდოთ თავიდან. თუ თქვენ დაბლობზე, ჯებირთან ახლოს ან მდინარის ნაპირთან ცხოვრობთ, ყურადღებით უნდა იყოთ მაშინაც კი, როდესაც ძლიერი წვიმა არ მოდის. წყლის ნაკადი ხშირად მაღლობიდან დაბლობისკენ მოემართება.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები დროთა განმავლობაში უფრო და უფრო გამოცდილები და ჭკვიანები ხდებიან, მათ მაინც არ შეუძლიათ სტიქიური მოვლენების მართვა.

ჩვენ ჯერაც არ ვიცით, როგორ მოვიყვანოთ ან შევაჩეროთ წვიმა ჩვენი სურვილის მიხედვით!

11

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

ასე რომ, ერთადერთი გზა, რომლითაც თქვენ შეგიძლიათ თავი დაიცვათ, არის მზადყოფნა ხშირი წყალდიდობებისთვის.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, წყალდიდობა ხშირად გამოწვეულია ნაგვითა და ტალახით, რომელიც წყლის სადინარ არხებსა და თხრილებში იჭედება.

მოდით, რეგულარულად გავწმინდოთ ისინი, განსაკუთრებით წვიმიანი სეზონის დროს, რატომაც არა?!

ეს რთული არ იქნება, თუ ერთად ვიმუშავებთ, არა?!

12

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

განმარტება: რა შეიძლება გავაკეთოთ იმისათვის, რომ შევაჩეროთ დანაგვიანებისაგან წყალდიდობის გამოწვევა?

1. ნაგავი გადავყაროთ სპეციალურად მისთვის გამოყოფილ ადგილას;
2. რეგულარულად გავწმინდოთ თხრილები ნაგვისგან;
3. გავაკრათ წარწერები ტექსტით – დაიცავით სისუფთავე!

ჩვენი სახლისა და ჩვენი სოფლის გარშემო დავრგოთ ბევრი ხე. ისინი იწოვენ წყალს.
ხეები ასევე, უნდა დავრგოთ შემაღლებულ და მაღალმთიან ადგილებში.

ხეები არა მარტო ხელს უწყობენ წყლის შეწოვას, არამედ ამაგრებენ ნიადაგს ფესვებით და შესაბამისად, ხელს უშლიან მეწყრის წარმოქმნას.

13

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

აჰა, ახლა კი ვიცი!

კარგი, მეგობრებო, სულ ეს არის, რისი სწავლაც ამჟამად, ჩვენ შეგვიძლია წყალდიდობის შესახებ.

ძალიან ბევრი მარტივი რამ არსებობს, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ იმისათვის, რომ მომზადებული შევხვდეთ წყალდიდობას.

მოდით, თქვენი ოჯახის წევრებსაც უამბეთ, თუ როგორ უნდა მოიქცეთ წყალდიდობის დროს.

14

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

მომავალ შეხვედრამდე!

შენიშვნა ალმზრდელისთვის: სთხოვეთ ბავშვებს გამოთქვან აზრი რას გრძნობენ ძლიერი წვიმის დროს; დაუსვით შეკითხვები იმის დასადგენად, დაიმახსოვრეს თუ არა ახსნილი მასალა.